ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5405789

ნომერი: AR1822589

თარიღი : 22.04.2021

გაცემის თარიღი : 17.05.2021

გაცნობის თარიღი : 17.05.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნატა ჩიჩილიძე პ/ნ 01024065120
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 აპრილის №5365269 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 22

აპრილს №AR1822589 განცხადებით მომართა ნატა ჩიჩილიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 14 აპრილის №5365269 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 აპრილის №5365269 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქუჩა №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.828), მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, საცხოვრებელი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 14 აპრილიდან 2022 წლის 14 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2021 წლის 14 აპრილის №5365269 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 4836.0 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 4835.6 კვ.მ., კომერციული ფართობი 1800.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1848.0 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 1070.0 კვ.მ-ის ნაცვლად 805.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 2048.0 კვ.მ-ის ნაცვლად 2103.4 კვ.მ., დამხმარე ფართობი 102.0 კვ.მ-ის ნაცვლად 122.3 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 1291.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1278.0 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობი: 2070.0 კვ.მ-ის ნაცვლად 2072.4 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება. ასევე, საერთო ფართობში არ შედის შენობის გარეთ მდებარე სპორტული მოედნის ფართობი - 198.0 კვ.მ. შესაბამისად საერთო ფართობი შეადგენს 13065.1 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 აპრილის №5365269 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 4835.6 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 1848.0 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 805.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 2103.4 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 122.3 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 1278.0 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობად - 2072.4 კვ.მ., საერთო ფართობად - 13065.1 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 აპრილის №5365269 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე დამატებითი წარმოსადგენი დოკუმენტის pdf ფაილის ველში წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 აპრილის №5365269 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 აპრილის №5365269 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.